გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

განკარგულება № 57

2025 წლის 11 აპრილი

გორი

გორის მუნიციპალიტეტში 2025 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით, გორის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია ინფრასტრუქტურული პროექტები.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" 61–ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის და ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობების და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გორის მუნიციპალიტეტში 2025 წელს დასაფინანსებელი პროექტები თანდართული დანართი N1 (1 ფურცლად) შესაბამისად.

2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. გორი, ს.ჯორბენაძის ქ. #30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

საპროექტო წინადადება

N	საპროექტო წინადადების დასახელება	შენიშვნა
1	2	3
1	სოფელ მერეთში შიდა გზის რეაბილიტაცია	
2	სოფელ დიცის სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები	
3	სოფელ ამვის სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები	
4	სოფელ კომკაში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია	
5	სოფელ ფლავში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	
6	სოფელ ქვეშში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია	
7	სოფელ ახალუბანში სასმელი წყლის სისტემების მოწყობის სამუშაოები	

გორის მუნიციპალიტეტის მერის

მოვალეობის შემსრულებელი

სიმონ გულედანი